UNISON

INSURANCE COMPANY

# ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

WWW.UNISON.GE



**ჩვენ ვზრუნავთ ყველაფერზე, რაც შენთვის მნიშვნელოვანია**

**WE TAKE CARE OF EVERYTHING THAT'S IMPORTANT TO YOU**

დეპონირებული
ხელშეკრულების #251656065

# საინფორმაციო ფურცელი

წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას. დაზღვევის პირობების შესახებ დეტალურ ინფორმაციას იხილავთ სს ,,სადაზღვევო კომპანია უნისონი’’-ს ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებში: (№251656065), სადაზღვევო პოლისში

| N | დასახელება | ინფორმაცია / აღწერა |
|---|---|---|
| 1 | მზღვეველი: | სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ |
| | საიდენტიფიკაციო კოდი: | 404393152 |
| | იურიდიული / ფაქტობრივი მისამართი: | ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19 |
| | ტელეფონი: | +995 32 2 991 991 |
| | ელ - ფოსტა: | unison@unison.ge |
| 2 | დაზღვევის სახე: | ავტოტრანსპორტის დაზღვევა (CASCO) |

| N | დასახელება | ინფორმაცია / აღწერა |
|---|---|---|
| 3 | დაზღვეული რისკის აღწერილობა: | • ხანძარი, აფეთქება; მეხის დაცემა;<br>• ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება;<br>• ავტოსაგზაო შემთხვევა;<br>• ცხოველთან შეჯახება ან ცხოველით ან ფრინველით გარეგანი დაზიანება;<br>• სტიქიური მოვლენები (სეტყვის ჩათვლით);<br>• საგნის დაცემა, მათ შორის ანასხლეტი კენჭით საქარე მინის დაზიანება; |
| 4 | დამატებითი დაფარვები: | • მე-3 პირის წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობით დამდგარი ზიანი;<br>• მძღოლისა და მგზავრების სიცოცხლესა და ან ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი. |
| 5 | ფრანშიზა | • სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს სადაზღვევო პოლისის შესაბამისად. |

| N | დასახელება | ინფორმაცია / აღწერა |
|---|---|---|
| 6 | სადაზღვევო პერიოდი: | • სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა სადაზღვევო პოლისის შესაბამისად. |
| 7 | სადაზღვევო თანხა: | • სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრა სადაზღვევო პოლისის შესაბამისად. |
| 8 | სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების, რეგულირების და ანაზღაურების პროცედურა: | იხილეთ დაზღვევის პირობების მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტები.<br>• შემთხვევის მოხდენისთანავე დაუყოვნებლივ დატოვოს შეტყობინება მზღვეველის ცხელ ხაზზე - 032 2 991 991.<br>• შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა გააკეთოს წერილობითი განაცხადი შემთხვევის თაობაზე. |
| 9 | დამზღვევის ვალდებულება ინფორმაციის მიწოდებაზე და მისი დარღვევის სამართლებრივი შედეგები: | • დამზღვევმა ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლე-ბსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვე-ვის დადგომისათვის;<br>• მოწოდებული ინფორმაცია და/ან |

| N | დასახელება | ინფორმაცია / აღწერა |
|---|---|---|
| | დამზღვევის ვალდებულება ინფორმაციის მიწოდებაზე და მისი დარღვევის სამარლებრივი შედეგები: | • დოკუმენტაცია არ უნდა იყოს ცრუ, არასწორი, არაზუსტი, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი;<br>• როგორც სადაზღვევო პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც გავლენა აქვს რისკის ხარისხის შეფასებაზე/შემდგომ ცვლილე ბაზე;<br>• შემთხვევის მოხდენისთანავე დაუყოვნებლივ დატოვოს შეტყობინება მზღვეველის ცხელ ხაზზე - 032 2 991 991.<br>**სამართლებრივი შედეგები:**<br>• თუ რაიმე ფორმით მოხდება მზღვეველთან არასწორი ინფორმაციის მოწოდება, გაყალბება და მზღვეველის შეცდომაში შეყვანა/მცდელობა, მზღვეველი უფლებამოსილია:<br>• არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;<br>• ცალმხრივად დაუყონებლივ შეწყვიტოს დაზღვევა. |
| 10 | ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები: | • დამზღვევს/დაზღვეულს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას |

| N | დასახელება | ინფორმაცია / აღწერა |
|---|---|---|
| | ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები: | ხელშეკრულებაზე დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარეწის გარეთ დადების შემთხვევაში – მისი დადებიდან 14 დღის ვადაში.<br><br>აღნიშნული პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:<br><br>ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;<br>ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელთა მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;<br>გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშე კრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;<br>დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელე-ბულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;<br>ე) თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვე-ველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ |

| N | დასახელება | ინფორმაცია / აღწერა |
|---|---|---|
| | ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები: | • შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.<br><br>ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში დამზღვევა/დაზღვე-ულმა მზღვეველს უნდა მიმართოს ელექტრონულ ფოსტაზე unison@unison.ge, მატერიალურად წარმოადგინოს განცხადების ფორმით მზღვეველის მისამართზე (ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქუჩა 19/ ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადე ბულის ქ. 31) ან ელექტრონულად შეავსოს მზღვეველის ოფიციალურ საიტზე მითითებული ზემოაღნი-შნული განცხადების ფორმა. |
| 11 | ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები: | • იხილეთ დაზღვევის პირობების მე-14 პუნქტები. |
| 12 | ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე სანქციები/პირგასამტეხლო: | • იხილეთ დაზღვევის პირობების მე-15 პუნქტი. |
| 13 | პრეტენზიის წარდგენის წესი: | • ნებისმიერი პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში, დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს მზღვეველს წერილობით (იხ. www.unison.ge); |

| N | დასახელება | ინფორმაცია / აღწერა |
|---|---|---|
| | პრეტენზიის წარდგენის წესი: | • პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია შემდეგ ელ-ფოსტაზე: complaints@unison.ge ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე: (+995 32) 2 991 991;<br>• პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა 3 დან 12 სამუშაო დღემდე. |
| 14 | დაზღვევის გამონაკლისი პირობები: | • იხილეთ დაზღვევის პირობების მე-9 პუნქტი. |
| 15 | ზედამხედველო ორგანო: | • სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“;<br>მის: ქ.თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. №3<br>ტელ: +995 32 2 23 44 10. |
| 16 | დამატებითი ინფორმაცია: | • დეტალური პირობები იხილეთ ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებში. |